ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1900** კვირა, 10 დეკემბერი № 1323

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.**

გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(ცალკე)

ღირს წელიწადში 6 მანეთი

თვეში 75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში, ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ჟურნალი „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერელს „ცნობის ფურცელი“ გაეგზავნება უფასოთ.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 14 დეკემბერს 1900 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

გ. ვ. გედევანოვის საბენეფისოდ,

ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და ქ-ნ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესები**

I

ბრძყალები

დრამა 3 მოქმედებ. დ პოლ-ერვიესი, თარგმანი ივ. მაჭავარიანისა.

II

დავით რაბინი

კომედია 3 მოქმედებად ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მე ხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი ურუშაძე, მირიანოვი, იმერიძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება კ. შათირიშვილის საბენეფისოდ „**შემოსავლიანი ადგილი**“, კომ. ოსტროვსკისა.

სახალხო თეატრი ქუთაისში

ჩვენმა კორესპონდენტმა შეგვატყობინა ქუთაისიდან, რომ იქაურს საბჭოს უარი უთქვამს სახალხო წარმოდგენების გამმართავ წრისათვის საქალაქო თეატრის უფასოდ დათმობაზე ხსენებულ წარმოდგენების გასამართავად. საბჭოს ამგვარი გარდაწყვეტილება მწუხარებას გამოიწვევს ყველა იმათ შორის, ვისაც გულწრფელად სწადია ჩვენის ხალხის წარმატებისათვის სამსახური. ქუთაისის საბჭოს ძალიან იშვიათად შეხვედრია ამგვარი საქმე და ამიტომაც უნდა მოპქცეოდა მეტის ყურადღებით ხსენებულ წრის თხოვნას. ეს თხოვნა თითქმის გამოცდა იყო ქუთაისის თვითმმართველობისა, მისის შეხედულობისა ახალ დროის მოთხოვნილებაზე. ქუთაისს ძალიან ცოტა გაუკეთებია და უზრუნვია ქალაქის უბრალო ხალხის ნივთიერ და სულიერ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის და უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის პატრონთ შემთხვევა ეძლეოდათ მცირედი მსხვერპლით სამსახური გაეწიათ იმ დიადის საქმისათვის, რომელიც შეადგენს უპირველესს საჭიროებას ჩვენის დროისას: ხალხის განათლება, ხალხის თვითცნობიერების განვითარება სკოლაში იქნება იგი თუ თეატრში. ქალაქის პატრონებმა არ მოისურვეს და არ ისარგებლეს ამ შემთხვევით და მით დაამტკიცეს, რაოდენად ჩამორჩენია ქუთაისი თანამედროვე მოძრაობას.

ჩვენ არას ვიტყვით დასავლეთ ევროპაზე; თვით რუსეთში არ დარჩენილა ქალაქი, რომელსაც არ მიექციოს ყურადღება ხალხის გონების გაწრთვნის საქმისათვის. ამ მხრით რუსეთში, ამ უკანასკნელ 10—15 წელიწადში, შესანიშნავი ნაბიჯი იქმნა გადადგმული წინ. ყოველ ქალაქში გაცხარებული მუშაობა გაიჩარხა; ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი აარსებს საკვირაო სკოლებს, ჰმართავს სახალხო კითხვებს, იაფფასიან წარმოდგენებს და სხვა. ქალაქის თვითმმართველობა ყველგან მხურვალე მონაწილეობას იღებს ამ მოძრაობაში და თავის ხარჯით აშენებს „სახალხო სახლებს“, შემწეობას აძლევს ინტელიგენცია წრეებს, რომელნიც მეთაურობენ აღნიშნულ საქმეებს და სხვა.

მრავალ მაგალითებიდან ჩვენ მოვიყვანთ ქალაქ ტფილისის თვითმმართველობას. ტფილისის ქალაქის პატრონთ ძალიან ნაკლებად შესტკივათ გული ხალხისათვის, მაგრამ მათაც ვერ მოუხერხებიათ გვერდის ახვევა ამ მოძრაობისათვის, რომელიც შეედრო მთელს რუსეთს. ტფილისში არსებობს რამდენიმე საკვირაო სკოლა, სახალხო კითხვებისა და წარმოდგენების წრეები, სახალხო ბიბლიოთეკები და სხვა ამგვარი. ყველა ამ დაწესებულებათ ქალაქი დიდს შემწეობას აძლევს და, გარდა ყოველწლიური ხარჯისა, გარდაწყვეტილი აქვს მიიღოს დიდი მონაწილეობა „სახალხო სახლის“ აშენების საქმეშიაც. ჩვენ აქ არას ვიტყვით ქალაქის მეცადინეობის შესახებ პირველდაწყებით სწავლების საქმეში: ეს მეცადინეობა საპატიოა და ქალაქის ბიუჯეტში საკმაოდ დიდი ალაგი აქვს დათმობილი ტფილისის თვითმმართველობის მსხვერპლს ამ საქმისათვის.

სამწუხაროა, რომ ქუთაისის თვითმმართველობა გვერდს უხვევს ჩვენის დროის მოთხოვნილებას და იშურებს ისეთს მცირე მსხვერპლსაც კი, როგორც არის სათეატრო დარბაზის უფასოდ დათმობა სახალხო წარმოდგენებისათვის. სხვაგან საკუთარ შენობებს უშენებენ სახალხო თეატრის გამმართველებს, შემწეობას აძლევენ წარმოდგენების მოსაწყობად; ქუთაისის საბჭო კი შესაძლებლად სცნობს ქირა მოსთხოვოს ხალხის გულშემატკივართ! მერე, როგორი ქირა? სულ წარმოდგენაზე ქუთაისის წრეს შემოუდის თურმე 50 მანეთამდე, გასავალი ყოველ წარმოდგენაზე ჰქონია 35—45 მანეთი ქირის გარდა; ასე რომ 20 მანეთი საქმის მმართველებმა ან თავის ჯიბიდან უნდა გადაუხადონ ქალაქს, ან და მოაკლონ წარმოდგენების ხარჯს და ამით ხელი შეუშალონ მათ საუკეთესო მოწყობას...

საბჭოს ამგვარ გარდაწყვეტილებას შეუძლიან თავიდანვე შეაფერხოს კეთილი საქმე და ენერგია წაართვას იმ მცირე გუნდს მოღვაწეებისას, რომელთაც თავისი წვლილი ჰსურთ შეიტანონ ჩვენის ხალხის გონების განვითარების დიად საქმეში.

* * *

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

8 დეკემბერი.

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანებანი: 1) სააღგილ-მამულო სათავად-აზნაურო სახელმწიფო ბანკის მიერ 100 მილიონ მანეთის $3^1/_2$ $^0/_0$-ანი გირავნობის ფურცლების გამოცემის შესახებ და 2) სახელმწიფო საგლეხო ბანკის მიერ 35 მილიონ მანეთის $4^0/_0$-იანი მოწმობების გამოცემის შესახებ.

კაპშტადტი. კაპის მთავრობის პროკლამაციაში ნათქვამია, რომ ის ბურები, რომელნიც ახალშენში შემოვიდნენ, შეჩერებულ იქმნენ, რადგანაც სტეინბურგი დაჭერილია მძლავრის რაზმით. მათ ეხლა ძალიან გაუძნელდებათ წინ წასვლა. უკანასკნელად ისინი შეამჩნიეს ზურის მთებში, სტეინბურგისა და გენტერსტადტის შუა. ბურები, რომელნიც ზარნდრიფტში გავიდნენ, 2000 კაცს აღემატებიან. მათ, ალბად, კოლსბერგისაკენ უნდოდათ წასვლა, მაგრამ, როდესაც წინ ჯარები დაჰხვდათ, დაიძრნენ ფილისტუანისაკენ და დაიპყრეს იგი 6 დეკემბერს. ჯერ-ჯერობით მხოლოდ მცირე შეტაკებანი მოჰხდა, რადგანაც ბურები უკან-უკან იხევენ. ბენტერდორფში მათ ტყვედ წაიყვანეს მეციხოვნე ჯარი, ოცი კაცისაგან შემდგარი. კოლსბერგის ოლქში, ქალაქ გამელსფონტეინში, ბურებმა შეუთვალეს მეციხოვნე ჯარს დაგვნებდითო, რაზედაც უარი მიიღეს; მოხდა ბრძოლა, რომელმაც რამდენიმე საათი გასტანა; ბოლოს ბურები უკუ-გდებულ იქმნენ დიდის ზარალით. ზოგიერ ოლქებში შემოღებულ იქმნა სამხედრო წესები.

კაპშტადტი. კოლსბერგში ამ დღეებში უნდა მომხდარიყო სასამართლოს სხდომები რამდენიმე მოღალატის დასასჯელად, მაგრამ, რადგანაც ბურები შვიდი მილის მანძილზე სდგანან სასამართლოს შენობიდან, საჭირო შეიქმნა სასამართლოს გადაყვანა სხვა ადგილას; სასამართლოს წევრები უკვე მოვიდნენ კაპშტადტში.

კალკუტა. ოფიციალურ გაზეთში გამოცხადებულია ამბავი კლემსის დანიშვნის შესახებ რუსეთის კონსულად ბომბეიში. ეს არის პირველი რუსეთის წარმომადგენელი ინდოეთში.

შანჰაი. დასრულდა ტელეგრაფის გაკეთება შანჰაისა და ცანტაუს შუა.

ბერლინი. ვალდერზეე იტყობინება პეკინიდან, რომ შანჰაი-ტუანიდან მომავალს ვანლდელის რაზმს პირველ დეკემბერს ბრძოლა მოუხდა მოკრივებთან პუნიალინის ახლო; მოკრივენი ძლეულ იქმნენ, მათ მოუკლეს 15 კაცი და დაუპყრეს 3.

ნიუ-იორკი. პეკინიდან 7 დეკემბერს მოსული დეპეშა ამბობს, რომ უკანასკნელ საერთო სხდომაზე ელჩები მეტად აღელვებულნი იყვნენ, რადგანაც ჰსურდათ გაეგოთ, ვინ ატყობინებს ჩინელებს იმას, რაც ყოველ ელჩისათვის საიდუმლოებას უნდა შეადგენდეს. ლიხუნჩანგმა ორი საათის შემდეგ იცის ყოველივე, რაც კი ჰხდება ელჩების სხდომაზე. საერთო ნოტა, ალბად, შაბათს გარდაეცემა ლიხუნ-ჩანგსა და ცინს; ამასთანავე მათ სთხოვენ პასუხის დაჩქარებას. ნოტა დაწერილ იქმნება ფრანგულს ენაზე; ელჩები—კონჯერი და სატოუ-მიუმატებენ ნოტას ინგლისურ თარგმანს; ნოტა გადათარგმნილი იქმნება აგრეთვე ჩინურს ენაზე.

დარმშტადტი. მეორე პალატამ, 22 ხმით წინააღმდეგ 22-ისა, უარჰყო კელლერის და ლანგსდორფის წინადადება ინგლისსა და ბურებს შორის სამედიატორო სასამართლოს მოწვევის შესახებ; გარდაწყვეტილება მოხდა პრეზიდენტის ხმით. წინადადების მხარეს იყვნენ ყველა ანტისემიტები და სოციალ-დემოკრატები; წინადადების წინააღმდეგ იყვნენ ნაციონალ-ლიბერალთა უმეტესობა და სხვები. მთავრობის წარმომადგენელნი დარბაზიდან გავიდნენ, როგორც კი დაიწყეს ამ საგნის შესახებ ბაასი.

ბერლინი. ბანკირს შტენბერგს სასამართლომ მიუსაჯა $2^1/_2$ წლით დაპატიმრება და 5 წლით ღირსების ახდა.

ბლუმფონტეინი. დევეტმა გადაიარა რკინის გზის ლიანდაგი ტაბანჩუსა და ლედიბრანდტის შუა და წავიდა ფიქსბურგისაკენ. კაპის ახალშენზე გალაშქრების დროს მას სულ მოუკლეს 50 კაცი, ტყვედ წაიყვანეს 100. გარდა ამისა, მან დაჰკარგა 3 ზარბაზანი და დიდ-ძალი სამხედრო მასალა.

(საღამოს დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე).

ყურნალ-გაზეთებიდან

※ კრიუგერს მოჰსვლია დეპეშა იმის შესახებ, რომ ბურებმა გენერლებ ბოტასა და დელარეის უფროსობით ორჯერ გაიმარჯვეს ინგლისელებზედაო. დეპეშის წაკითხვის შემდეგ მოხუც პრეზიდენტს უთქვამს: «ღმერთია შემწე ჩვენი ერისა. ომი დიდხანს გასტანს, თუ ინგლისი გაკერპდება და არ შეგვირიგდება»

※ ამსტერდამელ გაზეთ «ჰანდელზბლად»-ში დაბეჭდილია ბურების მთავარ-სარდლის გენერალი ბოტას პროკლამაცია. ეს პროკლამაცია ორ კაცს ჩუმად გადმოუტანიათ ლორენცო-მარკეზში და აქედან ჰოლანდიაში გამოუგზავნიათ.

ამ პროკლამაციაში ბოტა პროტესტს აცხადებს წინააღმდეგ მრავალი ჭირისა, რომელთაც აყენებენ ინგლისელები, და ამბობს, რომ კრიუგერის წასვლის შემდეგ სახემწიფო საქმეებს განაგებს შალკ-ბიურგერი ერდად სტატს-სეკრეტართან და ორ მრჩეველთან (ლუკას-მეიერი და თვით ბოტა). შემდეგ იგი მხურვალედ ურჩევს ხალხს ომი განაგრძეთო, ომის დასასრული არც ისე უიმედოაო, — ამაზედ მეტს ხომ ვეღარას დავკარგავთ და მოგებით კი შეიძლება ბევრი რამ მოვიგოთო. იგი აღარ დაჰზოგავს ამას იქით იმათ საკუთრებას და სარჩოს, ვინც ეხლა იარაღს დაჰყრის. მას გაუგია, რომ ინგლისელები წერილებს უგზავნიან შეიარაღებულ ბურებს და ურჩევენ მათ იარაღის აყრას; ამისთანა წერილები ამიერიდგან მას, ბოტას, უნდა გადმოსცენ ხოლმე. ორანჟეს რესპუბლიკაში თავი აქვთ მოყრილი 12,000-მდე შეიარაღებულ ბურს. ბენ-ვილიოენმა 1200 კაცით ხელ მეორედ დაიწყო მოქმედება ინგლისის წინააღმდეგ. კომატიპორტში იმყოფება გენერალი გესტერი 1000 ქვეითა ბურით. ვარენბადი და ნილს-ტროომი ისევ ბურების ხელში არიან, იქ იმყოფება გენერალი მეიერსი ძლიერის რაზმით. გენერალ დელარეისაგანაც ძალიან კაი გასახარი ამბები მოდის; თითონ ბოტა ამ ჟამად ახალ ჯარს აგროვებს მიდელბურგის მაზრაში; ამ ჯარის უფროსად იგი დააყენებს გენერალ გრავეტას. თავის პროკლამაციის ბოლოში ბოტა ყველას ურჩევს იარაღის ასხმას და ჯარად გასვლას მამულისა, ოჯახისა და დამოუკიდებლობის დასაცველად

※ გენერალი დევეტი მესუთ წაუვიდათ ხელიდან ინგლისის ჯარებს, რომელნიც ყოველის მხრით გარს შემოეხვივენ მას. ინგლისის სამხედრო სამინისტროს მოსვლია ცნობა, რომ «მიუხედავათ ინგლისის გენერლების ძლიერი მეცადინეობისა», დევეტი გასულა ძალზედ ადიდებულ მდინარე კალედონში. ამ ჟამად იგი იმყოფება გელვეციაში და რედესბურგისაკენ მიდის. ინგლისის სამხედრო სამინისტროში ჰფიქრობენ, რომ დევეტი ეხლა სრულიად უშიშრად არის სამშვიდობო ადგილას.

※ ლორდ კიტჩენერს გადაუწყვეტია გადაიტანოს თავისი შტაბის სადგომი ბლუმფონტენში. ამის თაობაზე «პარი ნუველი» იტყობინება შემდეგს:

«კიტჩენერს იმისთვის გადააქვს თავისი შტაბის ბინა ბლუნფონტენში, რომ ხელმეორედ შეუდგეს ორანჟეს რესპუბლიკის დაპყრობას. მაგრამ ეს ამბავი პრეტორიაში არა სჯერათ, რადგანაც ეხლანდელი შტაბის ბინა ყოველის მხრით სჯობია ბლიუმფონტენსაო. და თუ ეს ამბავი ნამდვილად გამართლდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი გამოწვეულია შემდეგის გარემოებით: კიტჩენერს მოჰბეზრებია თავის გენერლების მიერ დევეტის უნაყოფო დევნა და უნდა, თითონ იკისროს ეს საქმე; მაგრამ ამ შემთხვევაში გენერლები ბოტა და დელარეი უფრო გაბედულად იმოქმედებენ ტრანსვაალში».

※ ამას წინათ ინგლისმა კავშირი შეჰკრა პორტუგალიასთან. სიტყვა «კავშირი», რასაკვირველია, ვერავის მოატყუებს. კავშირი შეიძლება მხოლოდ ორ თანაბარ და თანასწორ სახელმწიფოთა შუა, მაგრამ რა თანასწორობაა ინგლისსა და პორტუგალიას შუა!

ამ კავშირს ეხლანდელ გარემოებათა შორის დიდი გავლენა ექნება სამხრეთ-აფრიკის ბედის გადაწყვეტაზედ. აქამდე პორტუგალიის სამფლობელოები აფრიკაში (ახალშენი მოზამბიკი) მდებარეობდნენ გერმანიის სამფლობელოებს და ბურების რესპუბლიკებს შუა. ეხლა, როდესაც ინგლისი პორტუგალიის დახმარებით — თუმცა-კი ძალდატანებულით — ბოლოს უღებს რესპუბლიკების არსებობას, — პორტუგალიის ახალშენი პირდაპირ ინგლისის სამფლობელოების მეზობლად იქნება, და საკვირველი არ არის, რომ ბოლოს სულაც ინგლისს ჩაუვარდეს ხელში. განსვენებული ბისმარკი წინადვე ჰფიქრობდა ამის შესახებ და მიიღო კიდეც თავის მხრივ რამდენიმე ზომა გერმანიის გავლენის გასაძლიერებლად სამხრეთ-აფრიკაში. ამავე პოლიტიკას მისდევდა გერმანიის მთავრობა ამ ბოლო დრომდე, სანამ დიდ-ბრიტანიას არ დაუმეგობრდა

მაგრამ აქაც ინგლისმა ყინულზედ გაასცურა გერმანიის მთავრობა, როგორც მას ეს ბევრჯელ უქნია.

«ფრანკფურტერ გაზეთა»-ის სიტყვით, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ინგლისმა წინადადება მისცა გერმანიას — «ორივემ ერთად ვიყიდოთ პორტუგალიის ახალშენები აფრიკაშიო»; ამაზედ საიდუმლო შეთანხმებაც კი შეკრეს მათ ერთმანეთში. მაგრამ ისე არ მოხდა, როგორც ბერლინში ელოდნენ: პორტუგალიის მთავრობამ დიდი ფული გადაიხადა სამედიატორო სასამართლოს დადგენილობით, გამოისყიდა ინგლისისაგან დელაგოას რკინის გზა და სულაც არ მოინდომა თავის ახალშენების გაყიდვა. ამ ნაირად, ინგლისთან შეთანხმებამ გერმანიას არავითარი სარგებლობა არ შესძინა. ინგლისმა კი გერმანიის მეგობრობით დაიმედებულმა დაამარცხა ბურები და კავშირი შეჰკრა პორტუგალიასთან და ამით პირველი ადგილი დაიჭირა სამხრეთ აფრიკაში. ასე და ამნაირად გერმანიის მთავრობამ ყოველნაირად ჭკვა წააგო და ისეთი კაცის მიღებაც კი, რომელსაც ბისმარკი სთვლიდა უჭკვიანეს სახემწიფო კაცად მთელს მსოფლიოში, — ვეღარ გაბედა: რა თვალით უნდა შეეხედნათ მისთვის ვილჰელმ II მინისტრებს და ან რა პასუხი უნდა მიეცათ!

ძვირად დაუჯდება პორტუგალიას ეს კავშირი, მაგრამ არც თუ გერმანიას დაუჯდება იაფად თავისი შეცდომები.

გერმანიას რომ მოენდომებინა და თავის დროზედ ხმა ამოეღო ბურების სასარგებლოდ — მაშინ აღარც ეს საზარელი ომი მოხდებოდა და თითონ მასაც პირველობა დარჩებოდა სამხრეთ-აფრიკაში. ეხლა კი სამხრეთ-აფრიკაში სისხლი იღვრება, მთელი ევროპის საზოგადოებრივი აზრი აღელვებულია და გერმანიის გავლენა კი სამხრეთ აფრიკაში დიდის ხნით და იქნება საუკუნოთაც შემუსრვილია.

აი ეს არის ნაყოფი გერმანიის მთავრობის პოლიტიკისა, და ვერცა-რა კანცლერმა ბიულოვმა სთქვა ჭკვაში მოსასვლელი წინააღმდეგ ზემო მოყვანილ მოსაზრებათა.

ახალი ამბავი

◆ როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ყოვლად უსამღვდელოესი ფლავიანე, საქართველოს ექსარხოსი, ჩამობრძანდება ქ. ტფილისში 17 ამა დეკემბრისთვის.

◆ ტფილისის გუბერნატორის თანდებობის აღმასრულებელმა წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს დასამტკიცებლად ტფილისის თავად-აზნაურობის საგანგებო კრებაზე შემუშავებული პროექტი იმისა, თუ როგორ უნდა გადახდილ იქმნას 100 წლის იუბილეი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გარდასწყვიტა 12 დეკემბერს მოიწვიოს კრება სამეურნეო საზოგადოების წევრთა, რათა საბოლოოდ აირჩიოს ადგილი მომავალ სამეურნეო და სამრეწველო გამოფენისათვის.

◆ ლაგოდელიდან გვწერენ, რომ იქ, ახლო, ჭიაურის დაჩაში, ოთხი-ხუთი ათასი დესეტინა ტყე მიუზომიათ რუსეთის გუბერნიებიდან მოსასვლელ გლეხებისათვის. ტყე უნდა გაჩეხონ და დააბინავონ გაჩეხილ ტყის ადგილზე.

აგრეთვე შევიტყეთ, რომ თუქურმიშის ახლო უნდა დაასახლონ რამდენიმე სოფელი რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხებითაო.

◆ გუშინ, 8 დეკენბერს, დაასაფლავეს გვამი ახლად გარდაცვალებულ ცნობილის ექიმის ურკოსი. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ დ. ხონის (ქუთ. მაზრა) მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ სადაც ჯერ არს ხონში რეალურ სასწავლებლის დაარსების შესახებ.

◆ ხონიდან გვწერენ, რომ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას, ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის თხოვნის თანახმად, ნება მიუცია კ. ს. წერეთლისათვის გახსნას დ. ხონში სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

◆ დღეს, 10 დეკემბერს, მოხდება კრება ტფილისის დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა. ეს კრება მეორედ არის დღეისათვის დანიშნული და რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, მაინც შესდგება. საჭიროა ამ კრებაზე მეტი წევრები დაესწროს, რომ ნათლად გამოირკვეს წარსულში საზოგადოების გამგეობის მოქმედების საქმე, რომ ახალის ნებადართულ წესდებით უფრო ენერგიულად შეუდგნენ მომავალში მუშაობას.

◆ გუშინწინ, 8 დეკემბერს, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საბჭოს საფინანსო კომისიისა ქალაქის მომავალ წლის გასავლის ხარჯთ აღრიცხვის მე-7 მუხლის განსახილველად; სხდომამ დაადგინეს, თანახმად ქალაქის გამგეობის საალმშენებლო განყოფილებისა, გადაიდვას მომავალს წელში ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად 38,000 მანეთი, ისე რომ ქუჩების მოკირწყვლა თვით ქალაქმა იდვას თავს, რისთვისაც დაიქირაოს მუშები, ტეხნიკოსები და სხვა. ქალაქის გზატკეცილების შესაკეთებლად გადადებულ იქმნება 18,000 მან, ხოლო ქალაქის იარაღების საწყობების შესანახად 20040 მან. და ტეხნიკოსების დასაქირავებლად 2000 მან., — ისე რომ თითოეულს ტეხნიკოს დღეში გასამრჯელოდ 5 მანეთი დაენიშნოს. გამგეობისა და საფინანსო კომისიის შორის უთანხმოება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საფინანსო კომისიის აზრით, გოლოვინის პროსპექტი და მიხეილის ქუჩა ქალაქის ხარჯით არ უნდა იწმინდებოდესო, რადგანაც საბჭოს დადგენილებით ამ ქუჩების დაწმენდა ხალხის მეპატრონეთ აქვსთ დაკისრებულიო. ქალაქის გამგეობას ის განუცხადებია, რომ ქალაქი მიტომ ღებულობ თავზედ ამ ქუჩების დაწმენდას, რომ შეინახოს სიწმიდე უფრო ამ ქუჩებისა, როგორც ქალაქის შუაგულ მოძრავ ქუჩებისაო. რადგანაც ამ საკითხის შესახებ ვერ შეთანხმებულან, სხდომას დაუდგენია წარუდგინოს იგი განსახილველად ახლოს მომავალში ქალაქის საბჭოს.

◆ ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე გამგეობამ განიხილა ქალაქის სკოლების გამგე-კომისიის მიერ აღძრული საკითხი იმის შესახებ, რომ გამგე-კომისიამ თვისი დადგენილებები ქალაქის გამგეობის დაუკითხავად თვით მოიყვანოს ხოლმე სისრულეშიო. ამაზე გამგეობას უარი გამოუცხადებია იმ მოსაზრებით, რომ თუმცა პრინციპიალურად გამგეობას საწინააღმდეგო არა აქვს-რა, რომ სკოლების კომისიამ თვისი დადგენილებანი თვით მოიყვანოს სისრულეში, მაგრამ ქალაქის გამგეობა პასუხის მგებელია ქალაქის მცხოვრებთა წინაშე ქალაქის გამგეობაში ყოველივე მოქმედებისათვის და ამიტომ გამგეობის მიერ დაუმტკიცებლად და განუხილველად ყოვლად შეუძლებელი იქნება მათი სისრულეში მოყვანაო; ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა წარუდგინოს ქალაქის სკოლების გამგე-კომისიის მიერ აღძრული საკითხი განსახილველად ქალაქის საბჭოს ახლო მომავალში.

◆ ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილებით, ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში ტფილისის რკინის გზის კონცესიონერს—ბელგიის უსახელო საზოგადოებას—უკანვე დაუბრუნა ის 300,000 მანეთი, რომელიც ქალაქმა მიიღო უსახელო საზოგადოებისაგან იმ 600,000 მანეთის რიცხვში, რომელიც ქალაქის გამგეობას ხელშეკრულების თანახმად სესხად უნდა მიეღო.

◆ სამიწად-მოქმედო მინისტრის მიერ გამოგზავნილი მოხელე აგრონომი ლებედიევი ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში იმყოფება და ათვალიერებს იქაურ ვენახებს.

◆ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა შესაძლებლად დაინახა, რომ თავისუფლად შეუძლიანთ გამოიწერონ საზღვარ გარეთიდგან და ადგილობრივ სანერგეებიდან ამერიკულ ვაზის ნერგები შემდეგმა ადგილებმა: ქუთაისის გუბერნიაში—სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის და ლეჩხუმის მაზრებმა და რაჭის მაზრის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილმა ხიდის კარამდე და ახალ სოფელამდე; ტფილისის გუბერნიაში—ცხინვალის ნაწილის სოფლებმა: ხეითმა, ცუნარმა და ცხინვალმა; ბორჯომის ნაწილის სოფლებმა კურტანეთმა, ქვიშხეთმა, ბერის-საყდარმა, ტაშის-კარმა და ბულბულის ციხემ და მეჯვრისხევის ნაწილის სოფელ არაშენდამ.

◆ ჭიათურიდან „ნოვ. ობოზ.“-ს სწერენ, რომ მარგანეცის ფასი ისევ იკლებსო. ამის მიზეზად, ერთის მხრით, ფრახტის სიდიდეს სთვლიან, მეორეს მხრით და უმთავრესად, იმ გარემოებას, რომ მრეწველნი მეტად ცუდის ხარისხის მარგანეცს ჰგზავნიან საზღვარ გარეთის ბაზარზე; ხშირად ¾ გაგზავნილ მადნისა მიწა აღმოჩენილაო.

◆ ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, რომ მომავალ წლიდან გაძლიერებული იქნება შტატები სავეტერინარო ზედამხედველობისა ამიერ-კავკასიაში. ეხლა „კავკაზ-“ს შემდეგი ცნობები მოჰყავს ამის შესახებ. სულ სავეტერინარო ზედამხედველობისთვის იქნება 478 კაცი, რომელთაც ჯამაგირი ექნებათ 321,280 მან. ხსენებული რიცხვიდან ტფილისის გუბერნიაში იქნება 20 ვეტერინარი, 20 ფელდშერი და 20 ჩაფარი (ესენივე იქნებიან თარჯიმანებად); ქუთაისის გუბერნიაში იქნება 23 ვეტერინარი, 23 ფელდშერი და 29 ჩაფარი.

◆ „მშაკს“ ზაქათალიდან სწერენ, რომ იქ უკანასკნელ დროებში საშინელი პურის სიძვირე ჩამოვარდნილა, ისე რომ მეპურეები თურმე პურსაც აღარ აცხობენ ფქვილის დიდი სიძვირისა გამო, თუმცა იქით წელს კარგი მოსავალი ყოფილა. ამ მოვლენის მიზეზად გაზეთი იმ გარემოებას ასახელებს, რომ პური სულ გაუზიდავთ მდიდარ ვაჭრებს.

◆ დ. სამტრედიიდან გვწერენ: „4 დეკემბერს, სალამოზედ, ს. კულაშში 4 ყაჩაღი თავს დაესხა ებრაელ შამილაშვილს და წაართვეს 250 მან. და ნივთეულობა. გაძარცვის შემდეგ ყაჩაღები გამოსულან გარეთ და ხალხის შესაშინებლად დაუცლიათ თოფები. ხალხიც გაფანტულა და ავაზაკები თავისუფლად წასულან. მეორე დღეს სამტრედიის ბოქაულები ბ. იაშჩენკო და ბ. მახარაძე დარაჯებით დაედევნენ უკან და ერთ მათგანს მიაგნეს ს. ნამაშევში. (სამტრედიიდან 20 ვერსის დაშორებით) კნეინა წულუკიძის სახლში. როგორც კი გაეგო მიკვლეიულს პოლიციის მისვლა, უკანა კარში გავარდნილიყო გასაქცევად, მაგრამ დარაჯებს მაშინვე თოფები მიეყოლებინათ და მარჯვენა მკლავში დაეჭრათ და მით დაემორჩილებინათ. ეს ყაჩაღი ყოფილა გვარათ დუდუჩავა, რომელიც კატორღიდან გამოქცეული აგერ წლიწად ნახევარია. 5 დეკემბერს, სალამოს, დაპატიმრებული მოიყვანეს დაბა სამტრედიაში ხსენებული დუდუჩავა და კნ. წულუკიძისა. 6 დეკემბერს ქუთაისიდან ამ საქმის გამოსაძიებლად ჩამოვიდნენ მაზრის უფროსი და გამომძიებელი. 7 დეკემბერს ცნობილი ყაჩაღი ქ. ქუთაისში გაგზავნეს.

◆ ალსტაფიდან გვატყობინებენ, რომ 8 დეკემბერს, ღამე, გზის მცველის ბუდკა

ეროვნული

№ 377-ში შეცვივნულან ორი შეიარაღებული ყაჩაღი თათარი. მცველი დაუჭრიათ, რაც რამ ჰქონია სულ ყველაფერი წაურთმევიათ და დამალულან.

◆ მივიღეთ № მე-XI ჟურნალ „ჯეჯილისა“ შემდეგი შინაარსით: 1) „ფოთლები“, (გადმოკეთებული) ლექსი შ. მღვიმელისა; 2) „პატარა მილიონერი“, (პოლონურიდან) ა. ყუმისთაველისა; 3) „ტყის მცველი და მინდვრის მცველი“, თარგმანი ეკ. მ.–სა; 4) „მდიდარი და ძუნწი“, ლექსი, ი. ბელიაშვილისა; 5) „მოსწავლეთა შუამდგომლობა“, თარგ. ს. ციციშვილისა; 6) „ჩვენი ფრთოსანი მეგობრები“, ან. წ—სა; 7) „რუსის გლეხი“, გ. წყალტუბელისა; 8) გრიგოლი“ მოთხრობა, გ. ბოკერიასი; 9) „კოლბერი“ (დასასრული), ან. წ—სა; 10) „არდაში“ (ძველი თქმულება თარგმანი), ეკ. მ—სა; 11) „გმირი ჰინჭველები“, თარგ. ან. წ—სა; 12) „პატარა მკითხველების წერილები“; 13) წვრილმანი, აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ანაგრამა, ხალხურ-აფხაზური გამოცანა, შარადა, რებუსი და სხვა.

◆ როგორც გვატყობინებენ, დ. ყვირილასა და სურამს შუა სოფლებში 8 დეკემბერს თოვლი მოსულა.

◆ სამტრედიის სადგურზე, 7 დეკემბერს, ადგილობრივმა მეპურემ მიქაძემ და მისმა შეგირდებმა სასტიკად გალახეს ტელეგრაფისტი კაკაძე. ექიმის შემოწმებით, გალახულის მდგომარეობა მეტად მძიმეა.

◆ როგორც ნავთლუღის სადგურიდგან გვატყობინებენ, 8 დეკემბერს, ნაშუადღევს 1 საათზე ვიღაც ბოროტგანმზრახველთ მოუპარავთ ამ სადგურის მეისრეებისათვის სხვა და სხვა ნივთები და ტანისამოსი, ასე რომ მეისრენი პერანგის ამარა დარჩენილან.

პროვინცია

ქ. ახალციხე. აქ არსებობს ერთი მეტისმეტად სიმპატიური და სასარგებლო დაწესებულება, სახელდობრ: ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოება. საზოგადოება, კარ-ჩაკეტილი არ არის. მისი კარი ყველასათვის ღიაა განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მაგრამ ბედისა თუ სხვა რისამეს წყალობით, საზოგადოების წევრების მომეტებულს რიცხვს შეადგენენ ქართველები, ესენიც განურჩევლად სარწმუნოებისა. ბევრს, ქართლ-კახელს და იმერელს, შეიძლება, გაუკვირდეს კიდეც და გაოცებით იკითხოს – ჯერ არა გვსმენია ქართველი სხვა სარწმუნოებისა, თვინიერ მართლ-მადიდებელისაო. დიაღ, რაც მანდ არ გაგიგონიათ, აქ, ძველს სამცხე-საათაბაგოს ცხოვრების სინამდვილეა და შეხვდებით ქართველს: მართლ-მადიდებელს, რომის კათოლიკეს, მაჰმადიანს და კათოლიკეს სომხების აღსარებისას. შემაერთებელ წებო-ღუღაბად ერთი ჩამომავლობა ითვლება – ქართველობა, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ეროვნული ერთობა ჯერ ძალიან სუსტად არის განვითარებული და ჯერ კიდევ ხშირად უპირატესობა სარწმუნოებას ეძლევა, ვიდრე ეროვნებას.

ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოებას აქვს ქალაქის ძველს ნაწილში საქალებო სკოლა, სადაც 120 ყმაწვილ ქალამდეა მოსწავლე. სკოლას უნდება შესანახად წლიურად არა ნაკლებ 1,200—1,300 მან.; ამოდენა ფულის მოგროვება დიდი ტვირთია საზოგადოების გამგეობისათვის იმისთანა მივარდნილ, მიყრუებულ და ღარიბ ქალაქში, როგორიც არის ახალციხე. მაგრამ გამგეობა მხნედ მუშაობს, სიყვარულს და თანაგრძნობას პოულობს პატარა საზოგადოებაში და მისი შემწეობით და დახმარებით ახერხებს დიდისა და საშვილიშვილო საქმის გაკეთებას ისე კი, რომ ბუკსა და ნაღარას არავინ უკრავს და განგაშს არავინა სცემს. ხუმრობა ნურავის ეგონებათ, სამშობლო ნიადაგზე ჰზარდოთ ამოდენა მომავალი დედანი და ყოველ წლივ დაუბრუნონ ნახევრად გათათრებულს და გადაგვარებულს ქვეყანას, როგორიც არის ეს კუთხე და მისი მაზრა, არა ნაკლებ ორმოცი ქალისა, სამშობლო ენაზე მოლაპარაკე და სამშობლოსადმი სიყვარულით გამსჭვალული.

აი, სწორედ ამ სიმპატიური სკოლის სასარგებლოდ წარსულს კვირას, 3 დეკემბერს, გაიმართა რუსულ-ქართული წარმოდგენა საქალაქო კლუბის დარბაზში წარმოდგენა ითავა კეთილშობილურ საზოგადოების თავმჯდომარემ ქ-ნმა მარიამ გრ. გამრეკელმა, რომელსაც დახმარება აღმოუჩინეს ქ-ნ ა. მუსხელიშვილისამ და ა. მ. დუმბაძისამ. წარმოადგინეს რუსულად: „Медвѣдь“ და „Предложеніе“, თხზ. ანტონ ჩეხოვისა და ქართულად «მონადირე», ვ. გუნიასი. მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი სცენის-მოყვარენი: ქ-ნნი ა. მ. დუმბაძისა, კ. ვ გეევსკაია, ე. ფ. და მ ბეთანელი; ბ-ნნი სკალოზუბი, არხიპოვი, ვ ხახიშვილი, წ—ი, გორესმეხოვი და ა. ვ დარიალოვი. პსევდონიმების გამოაშკარავების ნება რომ მქონდეს, აქ ჩამოთვლილ გვარებში ბევრს ჩვენებურს უმაწვილს იცნობდით, მაგრამ იძულებული ვარ ვსდუმდე. ვიტყვი კი საზოგადოდ, რომ წარმოდგენამ მხიარულად და კარგად ჩაიარა. ზოგიერთებმა ისეთის ხელოვნებით და მოხერხებით შეასრულეს თავიანთი როლები, რომ მათსავე თამაშს თვით სცენის ბევრი მუდმივი არტისტი შეჰნატრებს. საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა მათის თამაშით და ნიშნად თავისი პატივისცემისა ერთგულად დასჯილდოვა ტაშის ცემით

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა, რომელმაც დიდ ხანს გასტანა. ბუფეტის შემოსავალიც რიგიანი იყო; ასე რომ საქალებო სკოლის სასარგებლოდ დარჩებოდა წმინდა შემოსავალი არა ნაკლებ 200 მანეთისა.

«ცნობის ფურცლის» მე-1315 №-ში ორი უცნაური ამბავია «ნორ-დარიდან» ნასესხები ახალციხის შესახებ «ნორ-დარ» ისთვის მოუწერია ახალციხელ კორესპონდენტს, ვითომც ახალციხეში დაარსებულიყვეს ახალი საზოგადოება, რომლის მიზანია თურმე დაეხმაროს ადგილობრივ სკოლების მოსწავლეებს განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა. არ გაგვიგონია ასეთი საზოგადოების დაარსების ამბავი. უცნაურია აგრეთვე მეორე ამბავი, ვითომც ქალაქის მოურავის ინიციატივით შემდგარიყოს თეატრის მოყვარულთა კრება. დამსწრეთ სიამოვნებით მოუსმენიათ წინადადება, რომ სასურველია წელსაც გაიმართოსდეს საქველმოქმედო წარმოდგენები სკოლების დასახმარებლადაო და უკვე ამოურჩევიათ კომისია საქმის გასაძღოლად. პირველი წარმოდგენა ამ დღეებში გაიმართებაო. სრულებით გაუგებარია ახალციხელებისათვის ეს ამბავი. ნოემბერში გაიმართა სამხედრო კლუბში წარმოდგენა «წითელი ჯვრის» საზოგადოების სასარგებლოდ. მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო პირნი და მათი ოჯახობა; გაიმართა კიდევ საქალაქო სასწავლებლის სასარგებლოდ წარმოდგენა სამოქალაქო კლუბში. აქ მონაწილეობა მიიღო საიდღანაც ჩამოვარდნილმა ორმა მოხეტიალე არტისტმა ქალმა და კაცმა. ეს იყოდა ესა. სადაა თეატრის მოყვარულთა წრე! ჩვენ არ გვინახავს, ან სად და როგორ გამოხატა თვისი არსებობა, არა გაგვიგია რა ეს კი ნამდვილია რომ მომეტებული ნაწილი დამსწრე საზოგადოების წარმოდგენებზედ საქველ მოქმედო აზრით ადგილობრივი მკვიდრი კი არ არის, უფრო მოხელეობა, აფიცრობა და მათი ოჯახობაა. ეს ჭეშმარიტი და ნამდვილი ამბავი ცოტა არ იყვეს ჩრდილს აყენებს კორესპონდენტის მიერ «ნარ-დარში» გაგზავნილ ცნობებს

არავინ

თიანეთი. ერწოს საზოგადოება ბევრს შეშას და ნახშირს ეზიდება ტფილისში და ძრიელ შეწუხებულნი არიან ცუდი გზების გამო. ცხვარიჭამიას აღმართზე ცუდი ტალახებია, ამნაირივე საძაგელი გზაა თვით ტფილისის მისადგომში, ქალაქის საზღვარში; ურემი სამი ოთხი უღელი საქონლით ძლივს გააქვთ. გასაკვირველი არ არის, რომ ამისთანა მდგომარეობის შემდეგ გლეხი ძვირად ჰყიდდეს ნახშირსაც და შეშასაც, მით უფრო, რომ ერწომდე თითქმის სრულიად გაჩეხილია ტყეები გარდა სახაზინო ტყისა, და სოფლელები ეზიდებიან ერთსაც და მეორესაც შორეულ სოფლებიდან. 4 დეკემბერს ყოფილან ამ გზის დასათვალიერებლად გუბერნიის ინჟინერი ბუტკევიჩი და ტრონოვი. უეჭველია, მიაპყრობენ ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას და გაუადვილებენ აქაურ სოფლის მცხოვრებთ ტფილისში სანოვაგისა და შეშა ნახშირის ზიდვას.

დუშეთი. ჩვენ ქალაქის მამასახლისს სამსახურის ვადა გაუვიდა და, როგორც ხმა არის, ქალაქის ახალ მოურავად ერასტოს გრიგორის ძე ყარანგოზიშვილს ასახელებენ. მისი კეთილი წარსული თავდება, რომ ჩვენი დაქვეით-ჩამორჩენილი ქალაქის საქმეებიც წარჩინებაში შევლენ. სხვა და სხვა ნაკლთა შორის, ჩვენი ქალაქი აბანოს და სამკურნალოს უქონლობით არის შეწუხებული, და იმედია ქალაქის ახალი პატრონი ამათ დაარსებისთვისაც იზრუნებს.

ჩვენი წიგნთსაცავ სამკითხველო სამი წლისა სრულდება და მის გამგეობისდა სასიქადულოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი თავის დანიშნულებას რიგიანად ასრულებს. მხოლოდ ერთი უნდა ვსთქვათ გამგეობის საყურადღებოდ: წიგნთსაცავ სამკითხველოს წესრიგი არ არის დასტამბული და დაბა-სოფლად დარიგებული. და ამიტომაც სამკითხველოს დავთარში სანთლით საძებნელი არიან მაზრელები. — აქ ფრიად სასიამოვნო ამბავი მოვიდა, ახლო მომავალში სადგურ ანანურსა და ფასანაურში პირველ დასაწყის სასწავლებელს ხსნიანო. ბეჩავი მთიულ-მოხევეები წვით და დაგვით ცხრა მთას იქით ზიდავდნენ შვილებს მაგნაირივე სასწავლებელში და ეხლა კი ხარჯი უფრო შეუმცირდებათ.

აქ დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ ზემოუბნელები აპირობენ თავიანთ შორის ამოირჩიონ გავლენიანი პირი და სთხოვონ სასულიერო მთავრობას, რომ წმ. ნიკოლოზის გაუქმებული საყდარი განაახლონ და ისევ აღადგინონ. ეს საყდარი აზნ. ყარანგოზიანთ საგვარეულო ტაძარია.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება.

8 დეკემბერი.

პარასკევს, 8 დეკემბერს, საღამოს $8^1/_2$ საათზე შესდგა კრება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა, საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის უგანათლებულეს თავადის პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით. კრებას დაწყებისათანავე აგრონომმა ბ-ნმა საკოვმა წარუდგინა განსახილველად ვრცელი მოხსენება ახალქალაქის მაზრაში წელს ნათესი ყანების „გოტტენტოტური ბალლინჯოსა“ და სხვა მწერებისაგან განადგურების შესახებ, აგრეთვე რა მდგომარეობაში არიან მოუსავლობით დაზარალებული მცხოვრებნი, რა შემწეობა უნდა აღმოეჩინოს მათ, რა ზომები უნდა იქმნეს შემდეგ მიღებული აღნიშნულ მწერებთან საბრძოლველად და სხვანი. როგორც ბ-ნ საკოვის მოხსენებიდან სჩანს, უკიდურეს მდგომარეობაშია ახალქალაქის მაზრის 45 სოფელი; არა ნაკლებ წარსულ 1899 წლის 19 დეკემბერს მომხდარ მიწის ძვრაზედ თავზარ დამცემი უბედურება სწვევია წელსაც ახალქალაქის მაზრის ზემოდ აღნიშნულ სოფლებს, რომელთა ყანები ისე მოუფშვნეტია „გოტტენტოტურ ბალლინჯოს“, რომ არამც თუ თავის გამოსაკვებად რამე, პირუტყვთა ზამთრის გამოსაკვებიც ვერ გადუნარჩუნებიათ. რაც „ბალლინჯოსაგან“ მოფშვნეტა-განადგურებას გადარჩენია, ის 2 სექტემბერს მოსულ თოვლისაგან გაოხრებულა ამ მოულოდნელის უბედურობისაგან დაზარალებული ხალხი ისე გაოგნებულა, და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა თურმე, რომ არ იციან, საით ეცნენ, ლუკმა იშოვონ, რომ შიმშილით ცოლშვილიანად არ ამოწყდნენ. დაზარალებული სოფლები სამ ნაწილად განიყოფება: სრულიად ულუკმაპუროდ დარჩენილა 24 სოფელი: ჩანდურა, ჩურჩხელი, ხანდო, არაგვა, ძიგრაშენი და სხვანი; 15 სოფლის მოსავალს გარეგნობით არა უშავდარა, მაგრამ ნამდვილად კი ისეთი გამოსავალი ჰქონია პურს, ქერს და სხვას, რომ რამდენიმე თვეს თუ ეყოფა მცხოვრებთ; ხოლო 6 სოფელი უფრო ნაკლებად არის დაზარალებული, მაგრამ მათაც არ ეყოფათ მომავალ მოსავლამდე და სათესლეც აღარ დარჩებათ...

დაზარალებულია სულ 1884 მეკომლე, ანუ 17612 სული ორივე სქესისა; დაზარალებულ ყანების სივრცე უდრის 4149 დესეტინას; ზარალის რაოდენობა, ფულად რომ ვიანგარიშოთ, უდრის 394,180 მანეთს. დაზარალებულთა გამოსაკვებად, როგორც გამოუანგარიშებიათ, საჭიროა თვიურად 17,612 ფუთი პური, ანუ სულ 176,120 ფუთი; ხოლო ყანების სათესლედ მომავალი წლისათვის 142,374 ფუთი პური, ქერი და სხვა. ბ-ნ საკოვის აზრით, წელს ასეთი დიდი ზარალი აიხსნება მითი, რომ შარშან ხმელი წელიწადი იყო, რამაც ხელი შეუწყო მწერების გამრავლება-გაძლიერებას; ამას გარდა ასეთი ზარალის მიზეზია, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ ჯერ სოფლები ძალიან ცუდად, ძველებურად მუშავობენ ყანებს, ამასთანავე ძალიან ნაკლებად მისდევენ მებოსტნეობასა, მებაღეობასა და უმთავრესად თავის თავის იმედს პურსა, ქერსა, დიკასა და სხვაზედ ამყარებენ, რასაც უფრო მეტად ეტანება „ბალლინჯო“. ასე დაცემულს ვაკე ადგილებში რომ მარტო პურის ყანები არ იყოს, „ბალლინჯო“ ასე ვერ გავრცელდებოდა. თავის მოხსენებაში ბ-ნი საკოვი შემდეგ საშუალებებს უჩვენებს საზოგადოებას როგორც მწერთან საბრძოლველად, აგრეთვე მცხოვრებთა შიმშილისაგან დასახსნელად. რომ „ბალლინჯო“ გაწყვეს, ყანების მომკის შემდეგ ღეროებს ცეცხლი უნდა წაეკიდოს და გადიწვას ხოლმე, აგრეთვე ხელი უნდა შეეწყოს ადგილობრივ მცხოვრებთ შეიძინონ საუკეთესო გუთნები მიწების კარგად დასამუშავებლად, გავრცელდეს დაზარალებულ მცხოვრებთა შორის ისეთი ჯიშის პურის თესლი, რომელიც ადრევე ითესება და ადრევე მოდის; გავრცელდეს აგრეთვე მცხოვრებთა შორის მებაღეობა და მებოსტნეობა. გაიმართოს ხელის მოწერა დაზარალებულთათვის გამოსაკვებ და სათესლე პურის შესაძენ ფულის შესაგროვებლად; აღძრან შუამდგომლობა შეაკეთონ გზატკეცილები, რითაც მცხოვრებთა მიმოსვლის საქმეც გაუმჯობესებდა და შეკეთების საქმე მიეცეს დაზარალებულ მცხოვრებთ. დღევანდლამდე ამ მაზრას დარჩენია შარშანდელ შემოწირულებათაგან 61,717 მანეთი და 21 კაპ, აქედან მიეცა ხალხს მხოლოდ 15,000 მანეთი. საკოვის მოხსენებამ დამსწრე წევრთა შორის კამათი გამოიწვია; კარგა ხნის კამათის შემდეგ საზოგადოებამ დაადგინა: 1) მიიღონ ზომები „ბალლინჯოსთან“ საბრძოლველად, როგორც ცეცხლის წაკიდებით, აგრეთვე ყანების უფრო ღრმათა და ორჯელ გადახვნით; 2) შემოიღონ ყანების სათესად სხვა-და-სხვა ჯიშის პურის ისეთი თესლი, რომელიც ადრე ითესება და ადრევე მოდის; 3) გაავრცელონ სხვა-და-სხვა გვარი კულტურა; 4) დაეხმარონ მცხოვრებთ გავრცელდეს მათში საუკეთესო სამუშაო იარაღები; 5) გამოიკვლიონ გავრცელებულ მავნე მწერების ცხოვრება და ამისათვის 6) სთხოვონ მთავრობას დანიშნონ სპეციალისტი ენტომოლოგი, რომელმაც დაწვრილებით გამოიკვლიოს, თუ საიდან ჩნდება ეს მწერი, რა ზომები უფრო უკეთესია მასთან საბრძოლველად და სხვანი; 7) ითხოვონ აგრეთვე მოაწყონ ახალქალაქიდან განჯასა და ყარსის საზღვრებამდე გზატკეცილის გაყვანის საქმე და ეს სამუშაო მისცენ დაზარალებულ მცხოვრებთ და 8) სთხოვონ ახალქალაქის მაზრის მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა დამხმარებელ ტფილისის უმთავრეს კომიტეტს განაგრძოს შემოწირულებათა მიღება აღნიშნულ მაზრაში მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთა დასახმარებლად. საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა ბ-ნ საკოვს ასეთის მუყაითის შრომისათვის და გამოსთქვა სურვილი დაიბეჭდოს ეს მოხსენება, რადგანაც მასში იმდენი საყურადღებო ცნობებია, რომ კარგი იქმნება გავრცელდეს ხალხშიო. კრება საღამოს 11 საათზე დასრულდა.

პრესსა

სომხურ გაზეთ „ნორ-დარ ში“-ში იბეჭდება ფელეტონები შესახებ ჩინეთიდან გადმოსახლებულ ჩინელთა, რომელნიც დროის განმავლობის მეოხებით ბოლოს მთლად გასომხებულან. წერილში აქა-იქ საქართველოსაც შეეხება დამწერი და იმასაც აღნუსხავს, თუ საქართველოში სომხეთიდან ჩინელთა გვარის წევრნი ვინ გადმოსახლდა. ჯერ-ჯერობით ორბელიანთ გვარს ასახელებს, ანუ ჯამბაკურ-ორბელიანთ—ჯემბაკიდან.

წერილის დამთავრების შემდეგ ამ ცნობებს ჩვენც გადავცემთ მკითხველებს.

სასამართლო

I

ტფილისის გუბერნიის სამმართველოს 1899 წლის 15—22 მაისის დადგენილებით პასუხის გებაში იქმნა მიცემული სიღნაღის მაზრის, ქიდალოს ნაწილის ბოქაული თავ. ალექსანდრე ლევანის ძე ჯორჯაძე, რომელსაც ბრალად ედებოდა სასჯელთა დებულების მე 2 ნაწილ. 341 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა. ამ საქმის გარემოება, როგორც გამოძიების დროს მოწმების ჩვენებით გამორკვეულა, შემდეგია: 1899 წლ. 18 იანვარს თავ. ჯორჯაძე 8 მამასახლისითა ბ 160—200 კაცით გათენებისას მისულა იორ-მუღანლოს საზოგადოების სოფ. პალდოსა და დუზაგრამში გაქცეულ ყაჩაღების დილანა ტაგისა და კურბმან ალიას დასაჭერად. ბოქაული თანამხლებლებით 8—10 დღის განმავლობაში ჩაუდგა სოფლელებს, და, როგორც უკანასკნელნი ამბობენ, ბოქაული და მისი მხლებლები თვით ნებურად სარგებლობდნენ მცხოვრებთა ქონებით თავისა და ცხენების გამოსაკვებად. ამას გარდა აღნიშნულ სოფლის მამაკაცები სამიოთხი დღის განმავლობაში დაკავებულნი იყვნენ ბოქაულისაგან. ბოქაულის განკარგულებით, იგინი შეჰყარეს ერთ ადგილზე და შემოარტყეს ყარაულები. ბოქაულს თავი დამნაშავედ არ უცვნია და განუცხადებია შემდეგი: მე 17 იანვარს გავიგე, რომ იმ სოფლებში იყვნენ გამოქცეული ყაჩაღები, წაველი მათ დასაჭერად და თან 28 ჩაფარი წავიყვანე. რადგანაც ყაჩაღები თავის ნებით არ დამანებეს, მოვითხოვე ახლო საზოგადოებათა მამასახლისები თან 60—70 კაცით და შევუდექი სახლების დაჩხრეკას. ყაჩაღების ნათესავებმა ხელწერილი მომცეს, რომ ჩვენ თითონ დავიჭერთ და გადმოგცემთ მათაო, მაგრამ მამატყუილეს. გაჩხრეკის შემდეგ გლეხები მამასახლისებით დავითხოვე და 25 კაცით დავრჩი სოფელში და, როცა ხარჯი შემოგველია, სოფლის ხარჯით ვცხოვრობდით, რისთვისაც კაცი თვით ამოირჩიეს და ისე გაგვიჩინეს სასმელ საჭმელი, სანამ იქ დავრჩით. ჩემი ეს მოქმედება მაზრის უფროსმა შანშიევმა წინადვე იცოდა და კიდევაც მოიწონა იგი, როგორც უკეთესი საშუალება ყაჩაღების დასაჭერად. მე არამც თუ მქონდა ნება, ვალდებულიც ვიყავი კავკასიის მთავარ-მართებლის 1898 წელს გამოცემულ ცირკულიარებით № 1584 და 9692 და გუბერნატორისა № 988 მეხელმძღვანელნაო. ეს საქმე ხუთშაბათს, 7 დეკემბერს, განიხილა ტფილისის სამოსამართლო პალატამ, სადაც გამოწვეულ იყო 12 მოწმამდე. მოწმემ ალი-მამედ-ოღლიმ განაცხადა: ღამით ჩვენს სოფელში შემოერტყა ბოქაული 8 მამასახლისით, რომელთაც თან 20, 25 და 30 კაცი ახლდა. ბოქაულის მხლებელნი შემოგვიცვივნდნენ სახლში და ყოველივე ეპატიურობა მოგვაყენეს; ქალებს შეურაცყოფას აყენებდნენ. რაც მოხვდებოდათ ხელში მიჰქონდათ; იმ არეულობაში ერთი ბავშვიც გასრისეს. 7 დღის განმავლობაში ჩვენ ერთ ადგილზე შეგვყარეს და სამი დღის განმავლობაში მშიერ-მწყურვალნი ვეყარეთ და არავინ ჩვენი გამკითხველი არ იყო. 28 სული ხარი და ძროხა დაგვიკლეს და აურიცხველი ბატი ინდოური ბ ქათამი; მიჰქონდათ დაუკითხავად პური, გვართმევდნენ ფულს; მე, მაგ., 31 მ. გამომართვეს. სოფლის ხარჯიც 7,000 მანეთამდე იქნებაო. ამ მოწმის ჩვენების დროს პალატის თავმჯდომარემ, ბრალმდებულის ვექილის განცხადებით, დაითხოვა ზალიდან ერთი თათარი, რომელიც მოწმეს ეჩურჩულებოდა და ასწავლიდა, როგორ ეჩვენებინა სასამართლოსათვის. ეს კაცი სოფელ მუღანლოს მცხოვრები აღმოჩნდა. მეორე მოწმის ბაგრამ გადუ-ოღლის ჩვენებით, ბოქაულს მოლა-მაჰმედისათვის 350 მან. გამოურთმევია. 26 ძროხა დაუკლავთ 40 სულამდი ცხვარი და მრავალი წვრილფეხი. მოწმების ჩვენების ჩამორთმევა საღამოს 5 საათამდე გაგრძელდა. სხდომა საღამოს 7 საათისთვის გადაიდო. სხდომის განახლების შემდეგ გამოძიება დასრულდა საქმის ზოგიერთ დამატებითი ცნობებით.

ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ აღიარა და განაცხადა: „მე დამნაშავე არა ვარ ამ საქმეში; ზნეობრივად მე ისეც დასჯილი ვარ, რადგანაც დიდი ხანია სამსახურიდან დამითხოვეს და ამასთანავე ჩავარდი საქმეში ისეთი მოწმების ჩვენებით, რომელნიც ყაჩაღობით სცხოვრობენ და ისეთს ამბებს მოუთხრობენ სასამართლოს, რომ წარმოდგენაც შეუძლებელია. მე დამნაშავე ვარ მხოლოდ იმაში, რომ ნდობით მოვეპყარი როგორც ჩემს მთავრობას, აგრეთვე სხვისასაც, და აი, როგორც მხედავთ, ბრალდებულის სკამზე დამსვეს“. პალატამ საღამოს 10 საათზე გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც, როგორც აღვნიშნეთ, საყვედური გამოეცხადება თავ. ჯორჯაძეს მისის მოქმედებისათვის ყაჩაღების დაჭერის დროს.

საღამოს დეპეშები

9 დეკემბერი.

ლონდონი. „რეიტ. სააგენ.“ კორესპონდენტი იტყობინება ტაბანჩუდან დევეტის უკან დაწევის შესახებ ტ ბანჩუსაკენ, როდესაც იგი, დევეტი, დარწმუნდა, რომ კაპის ახალშენში შესვლა შეუძლებელი იყო. კორესპონდენტი ამბობს, მშვენიერი სანახავი იყოო, როდესაც ბურების ჯარი, 2500 კაცისაგან შემდგარი, სპრინგანეკის მთებზე მიჰქონდა. შესანიშნავი გმირობა გამოიჩინეს შტეინმი და პიტ ფურიემ, როდესაც მათის ხელმძღვანელობით ბურებმა იერიში მიიტანეს ინგლისელებზე, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელების მხრივ სეტყვასავით მოდიოდა ყუმბარა და თოფის ტყვია. გამარჯვება იყო სრული, თუმცა ბურებმა დაჰკარგეს ორი ზარბაზანი და 25 კაცი, რომელნიც დატყვევებულ იქმნენ.

ბერლინი. ვალდერზეე იტყობინება, რომ გიუნდენის რაზმი 7 დეკემბერს მივიდა პეკინში.

ტიანძინი. პრინც ცინის თარჯიმანი ამბობს, ვითომც იმპერატორი სინანფუდან წამოვიდა 6 დეკემბერს პეკინში გასამგზავრებლად, დედოფალი კი იქვე დარჩა.

იოჰანესბურგი. ბურები სამშაბათ დამეს თავს დაესხნენ ზურფონტენს, რომელიც იოჰანესბურგსა და პრეტორიის შუა მდებარეობს, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნენ. ინგლისელებს ზარალი არ უნახავთ.

კაპშტადტი. მალე სტელენბოშის, ვორჩესტერის და ველინგტონის ოლქებში სამხედრო მმართველობა იქნება გამოცხადებული.

კაპშტადტი. ბურები, რომელნიც დეაარიდან ჩრდილოეთით იდგნენ, გოუტკრაალის სადგურთან, განდევნილ იქმნენ იომანის მიერ. ისინი წავიდნენ დასავლეთის მხრისკენ. ინგლისელებს ზარალი არ უნახავთ. მძლავრი რაზმი დაიძრა ფილიპსტაუნისაკენ იმის გასაგებათ, უჭირავთ თუ არა ეს ქალაქი ბურებს. გოუტკრალში ბურებმა ააფეთქეს წყლის არხი, დაანგრიეს ტელეგრაფი. წვიმამ წალეკა რკინის გზის ლიანდაგი 150 იარდის მანძილზე, როსმიდის ახლო.

იოჰანესბურგი. 6 დეკემბერს ფრენჩი შეხვდა იმ ბურებს, რომელნიც ამას წინად კლემენტს შეებრძოლნენ. მან დაატოვებინა ბურებს პოზიცია კრიუგერსდორპიდან დასავლეთით. ბურებს, რომელნიც 2500 კაცამდე იყვნენ, ჰქონდათ 5 ზარბაზანი. როდესაც მათ მოუკლეს 50 კაცი, მათ უკან დაიწიეს. ინგლისელებს 14 კაცი დაუჭრეს.

ლონდონი. სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ აფრიკაში საქმეთა მდგომარეობის შეცვლის გამო მომავალ კვირას გაიგზავნება იქითკენ 800 კაცი ამხედრებული ქვეითა ჯარისა. შემდეგ კიდევ იქმნება გაგზავნილი 2 პოლკი ცხენოსან ჯარისა, როდესაც გემები იქმნება დაქირავებული. იმავე დროს ახალ ზელანდიის ავსტრალიელებს წინადადება მიეცა კიდევ გაგზავნონ აფრიკაში ცხენოსანთა რაზმი.

შანჰაი. ჩანჩიტოუნი იტყობინება, რომ მიიღო იმპერატორის ბრძანება ნავთ-სადგურ ვუჩჰოუში უცხოელთა შემოშვების შესახებ.

გაზეთების ცნობით, კანსუში ძლიერდება მაჰმადიანთა ამბოხება.

პეტერბურგის ბირჟა 8 დეკემბერს.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მ ა ნ	ე	თ ი.
4% სახელმწიფო რ ნტა.	—	—	96¼
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	—	100
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა.	—	96	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ	336	—	—
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	—	—	283¼
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	—	215
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—	—	88
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	92½	—	—
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა.	86¼	—	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	101½	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	92½	—	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	—	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	—	86

წერილი რედაქციის მიმართ

საზოგადო ასპარეზი ჩვენში თითქმის მარტო ორი დაწესებულებით განიზომება, სახელდობრ თეატრით და პრესსით. ისინი სულ მცირე ხანია, რაც დაიბადნენ ჩვენში, სულ რამოდენიმე ათეულს დაითვლიან. ასეთ მოკლე ხანში ჩვენი ეროვნული ცხოვრება ვერ ჩადგა იმ ფართო კალაპოტში, როდესაც მარტო magnae mentes-ებს და მოცისკროვნე გენიით დაჯილდოებულ ადამიანებს თვლიან ეროვნული პატივისცემის ღირსად.

განსვენებული ბარბარე ავალიშვილისას დაუფასებელი სამსახური მოუძღვნის ჩვენის ქვეყნის წინაშე. ამიტომ მეტად შეგვაწუხა მისი გარდაცვალების ამბავმა. გვწუხრათ, რომ ასე გვიან მოგვიხდა ამ ფაქტის აღნიშვნა მწუხარების გამოთქმა; მიზეზია, გვიან გაგება ძვირფასის არტისტის გარდაცვალებისა

ოდესსელ ქართველ სტუდენტების მონდობით სტუდ. გ. შავდია

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ზაქარია გრიქუროვის
წიგნის მაღაზიის ახალი მესამე გამოცემ
33 სურათით
გ. ნ. იოსელიანის «საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა» დამატებით.
შედგენილი სახალხო და სამრევლო სკოლებისათვის. (3—1)

რედაქცია
„ცნობის ფურცლისა“ და „მოამბისა“,
ახალი შენობის დამთავრებამდე, დროებით იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ი. ამამშოვის სახლეში, ვილლარეტის აფთიაქის გვერდით.
რედაქცია ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

Открыта подписка
НА
„С.-ПЕТЕРБУРГСКІЯ ВѢДОМОСТИ“
ВЪ 1 01 Г.

Подписная цѣна:

	Безъ казенныхъ прибавленій.				Съ казенными при	
	на годъ.	6 мѣс.	3 мѣс.	1 мѣс.	на годъ.	6 мѣс.
Съ доставкой по гор. почтѣ	16 р. — к.	9 р. — к.	4 р. 50 к.	1 р. 80 к.	18 р. — к.	10 р. —
Съ пересылкою иногородн.	17 „ — „	10 „ — „	5 „ 50 „	2 „ — „	19 „ — „	11 „ —
За границу.	26 „ — „	14 „ — „	8 „ — „	3 „ — „	28 „ — „	16 „ —

Подписка на газету съ казенными прибавленіями принимается только на годовой полугодовой срокъ. Въ розничную продажу казенныя прибавленія не поступаютъ.

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ чрезъ гг. казначеевъ (по особому с ними соглашенію); для частныхъ же лицъ, обращающихся прямо въ контору редакціи: 7 ру при подпискѣ, 5 руб. въ концѣ марта и 5 руб. 1 августа.

Для духовныхъ лицъ, воспитанниковъ высшихъ учебныхъ заведеній, преподавателей народныхъ училищъ и всѣхъ среднихъ и высшихъ учебныхъ заведені а равно для общественныхъ библіотекъ и читаленъ подписная цѣна: 12 ру въ годъ или *по 1 руб. въ мѣсяцъ* (исключительно черезъ контору „СПБ. Вѣдомостей“) Подписчикамъ, не внесшимъ въ срокъ подписныхъ денегъ, высыл газеты прекращается.

Подписка принимается: въ Петербургѣ, въ главной конторѣ „С.-Петербургскихъ Вѣдомостей“, Шпалерная, 26, и въ книжномъ магазинѣ Цинзерлинга, (Невскій пр., № 20); въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской, Печковскія линіи, № 61.

Иногородные адресуютъ: С.-Петербургъ, Шпалерная, 26.

Редакторъ-издатель *князь Э. Э. Ухтомскій.*

Э. 3—1

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Декабря 1900 г.
სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ — ბს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.